სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

84611151713119

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190183599

რეგისტრაციის თარიღი

20.02.2019 წ

ნოტარიუსი: მერაბ ფარჯიკია

მისამართი: ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41

ტელეფონი: მობილური 591 709 989 599 19 64 09

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ცხრამეტი წლის ოც თებერვალს მე, მერაბ ფარჯიკიას ნოტარიუსს ქ. თბილისში რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში, მომმართა შპს „ჯიქია“ რეაბილიტაციის მმართველმა ლევანი აფციაურმა (თანახმად ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საინდ. კოდი 205166559 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16112288, 10/08/2016 18:48:07) რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ააიპ „საქართველოს გოლფის ფედერაცია“-ს თანამშრომელს/წარმომადგენელს დავით მახარობლიშვილს (დაბადებული: 02.10.1978წ. პირადი № 01008005140, რეგისტრირებული: ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, 86) მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავწმუნდი, რომ მე ნამდვილად ლევანი აფციაურმა (დაბადებული 08.11.1973წ. პირადი № 01019000173 რეგისტრირებული: ქალაქი თბილისი, სოფრომ მგალობლიშვილის ქუჩა, 3, ბინა 35) მომმართა. მე შევამოწმე მარწმუნებლის ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მარწმუნებელმა ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას, რასაც ვამოწმებ.

მინდობილობა

მე, შპს „ჯიქია“ (ს/კ 205166559) რეაბილიტაციის მმართველი ლევანი აფციაური, რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც „მიმნდობი“, ააიპ „საქართველოს გოლფის ფედერაცია“-ს თანამშრომელს/წარმომადგენელს დავით მახარობლიშვილს რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მინდობილი“, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

- იყოს ჩემი, როგორც შპს „ჯიქია“ (ს/კ 205166559) რეაბილიტაციის მმართველის წარმომადგენელი სსიპ თბილისის მერიის ნებისმიერ სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, შეათანხმოს ახალი არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მიიღოს სამშენებლო პირობები, შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი და მიიღოს მშენებლობის ნებართვა ააიპ „საქართველოს გოლფის ფედერაცია“-ს სახელით შპს „ჯიქია“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.14.05.008.204 შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესასრულებლად.
- წინამდებარე მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე. მინდობილობა შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. შეწყვეტა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.
- აღნიშნული მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ერთი ინახება სანოტარო ბიუროში ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.
- მინდობილობას თან ერთვის: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საინდ. კოდი 205166559 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16112288, 10/08/2016 18:48:07

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” (29.12.2011წელი, საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507) 10 (ათი) ლარი – მუხლი 31, დღგ 1.80 ლარი - თანახმად საქართველოს საგდასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად ზემოთ მითიებული დადგენილებისა.

მიმნდობის ხელმოწერა: _____

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია